

სსიპ კასპის კოლეჯის
პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის
უზრუნველყოფის მექანიზმები

მუხლი 1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შეფასების მექანიზმების შემუშავების მიზანი

ამ მექანიზმების შემუშავების მიზანია სსიპ კასპის კოლეჯში (შემდგომში - კოლეჯი) პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე (შემდგომში - პროგრამა) სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სრულყოფა და მონიტორინგი, სასწავლო და მატერიალური რესურსის ეფექტური გამოყენება და მისი განვითარება.

მუხლი 2. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა

სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად მოწმდება:

- 2.1 სასწავლო პროგრამები და პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები;
- 2.2 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
- 2.3 სასწავლო გარემო (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა);
- 2.4 მსმენელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში;
- 2.5 ხარისხის სრულყოფისათვის კოლეჯი იყენებს სასწავლო პროცესის განხორციელებაში ჩართული მხარეების უკუკავშირის მექანიზმებს, როგორიცაა მსმენელების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, კურსდამთავრებული, დამსაქმებლის მუდმივი გამოკითხვა.

მუხლი 3. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლის ეტაპები

3.1. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

- დაგეგმე;
- განახორციელე;
- შეამოწმე;
- განავითარე.

3.2. დაგეგმე - სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება ჩასატარებელი ღონისძიებების სიხშირე, კრიტერიუმები და განმახორციელებელი პირები. განისაზღვრება კონკრეტული მიზნები, რესურსები, ამ მიზნების მისაღწევი სტრატეგიული ქმედებები.

3.3. განახორციელე - ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებასა და ანგარიშგებას. სისტემატური შემოწმების შედეგებმა შეიძლება მოითხოვოს ცალკეული პროგრამების ან მათში შემავალი კომპონენტების კორექტირება. ამ პროცესზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან პროგრამები შესაბამისობაში მოიყვანონ დადგენილ სტანდარტებთან.

3.4. შეამოწმე - კოლეჯის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ეცნობება ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. კვლევებით მიღებული შედეგების შემოწმების მიზანია კოლეჯის ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოჩენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

3.5. განავითარე - ხარისხის მართვის მენეჯერი განსაზღვრავს კვლევით გამოვლენილი ხარვეზების მიზეზებს და რეკომენდაციების შემუშავების გზით ადგენს მდგომარეობის გაუმჯობესების მექანიზმებს.

მუხლი 4. სწავლების ხარისხის შეფასების ფორმები

- 4.1. შეფასების მიზანია გამოავლინოს ხარვეზები, რისთვისაც აუცილებელია კოლეჯის ადმინისტრაციის, განმახორციელებელი პირებისა და მსმენელის ჩართულობა.
- 4.2. ხარისხის მართვისთვის გამოიყენება შემდეგი ფორმები:
- განმახორციელებელი პირების გამოკითხვა;
 - მსმენელთა გამოკითხვა;
 - კურსდამთავრებულთა გამოკითხვა
 - დამსაქმებელთა გამოკითხვა
- შესაბამისად, კითხვარები შემუშავებულია
- მსმენელებისათვის;
 - განმახორციელებელი პირებისათვის;
 - კურსდამთავრებულებისთვის;
 - დამსაქმებლებისთვის
- 4.3. კოლეჯში შეფასების შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესისა და პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად:
- პროგრამის მიმდინარეობისას;
 - პროგრამის დასრულების შემდეგ
- 4.4. პროგრამების შეფასების მიზნით, მსმენელებს ურიგდებათ კითხვარები პროგრამის დასრულების შემდეგ;
- 4.5. კოლეჯში სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით გამოიყენება ხარისხის შემოწმების შემდეგი ფორმები:
- პროგრამის მსმენელთა კითხვარი;
 - პროგრამის განმახორციელებელ პირთა კითხვარი;
 - კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმა;
 - სასწავლო პროცესზე დასწრების აქტი;
 - დამსაქმებელთა კითხვარი შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საჭიროების შესახებ;
- 4.5.1. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ჩატარდება პროგრამის დასრულების შემდეგ;
- 4.5.2. სასწავლო პროცესზე დასწრება ხორციელდება პროგრამის დამთავრებამდე არანაკლებ ერთხელ;
- 4.5.3. განმახორციელებელ პირთა და მსმენელთა გამოკითხვა ჩატარდება პროგრამის დასრულებისას;
- 4.5.4. შედეგების ანალიზის შემდეგ გატარდება შესაბამისი ღონისძიებები.

მუხლი 5. დოკუმენტის მიღებასა და ცვლილებაზე პასუხისმგებელი პირი

- 5.1 დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს შეიმუშავებს დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი ადმინისტრაციის წევრების ჩართულობით და ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
- 5.2 წინამდებარე დოკუმენტს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. ამ დოკუმენტში ცვლილებების შეტანა ან/და ძალადაკარგულად გამოცხადება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემის გზით.

მუხლი 6. შეფასებისათვის გამოყენებული ფორმები

კითხვარი პროგრამის განმახორციელებლისთვის - დანართი N1

კითხვარი მსმენელებისთვის - დანართი N2

კითხვარი კურსდამთავრებულებისთვის (დასაქმებისა და კმაყოფილების კვლევისთვის) - დანართი N3

კითხვარი დამსაქმებლებისთვის(კმაყოფილების კვლევა) - დანართი N4